# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47 (9.761)

10 - 17 დეკემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „ადამიანი ბედნიერი და წარმატებული რომ იყოს, უნდა აკეთოს ის საქმე, რაც ძალიან უყვარს“...

გვ.2



## ჩვენი გუნდი პოპულარობისთვის არ მუშაობს,ამას



გვ.2-3

## გაკეთებული საქმეები ლაპარაკობს!

## „გაიღე სისხლი– გადაარჩინე სიცოცხლე“




გვ.5

## „წითელი ჯვრის“ მოხალისეთა საერთაშორისო დღე დედოფლისწყაროს ფილიალში

გვ.5



## მომავალში ქარხნები გაცილებით მეტ ყურძენს ჩაიბარებენ

გვ.7

## კალმით გადმოცემული ემოცია

გვ.4



## ხსოვნა წასული პოეტებისა

გვ.6



## მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2017 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 27 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

***იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!***


## „კახეთის საათი“

„ობიექტივზე“

ახალი დროით

კვირა 12:30

# ჩვენი გუნდი პოპულარობისთვის არ მუშაობს, ამას გაკეთებული საქმეები ლაპარაკობს!

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წლიური ანგარიში 2016 წელს

6 დეკემბერს ქ. დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში თავმოყრილ საზოგადოებას მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიშვილმა ანგარიში ჩააბარა 2016 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ.

პრეზენტაცია გამგებელმა ბიუჯეტის განხილვით დაიწყო. თვალსაჩინოებისთვის სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე გრაფიკული სლაიდები ციფრობრივ და ფაქტობრივ მონაცემებს



აფიქსირებდა მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა, ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ.

აღინიშნა, რომ „მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების გეგმა 9 556 700 ლარია. ეს მოიცავს როგორც ადგილობრივ შემოსავლებს, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ სხვადასხვა სახის ტრანსფერებს. აგრეთვე, რეგიონალური ფონდის მიერ დაფინანსებულ „ სოფლის დახმარების პროგრამებს“.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებს გეგმით გათვალისწინებული 7. 483 000 ლარის ნაცვლად 1 დეკემბრისთვის შემოსულია 7 639 314 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის 2011 წლიდან 2016 წლამდე 455.100 ლარიდან გაიზარდა 1 245 600 ლარამდე. ეს განაპირობა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, რომელიც მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა. მაგალითად, საგრძნობლად გაიზარდა კირქვის მოხმარება, რადგან დიდი რაოდენობით გზები დაიგო, რასაც ხრეში სჭირდებოდა, ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩაუტარდა მდინარე ალაზანს, რადგან ერთი მეტრი ნაპირის ჩარეცხვა ჩვენი საზღვრის გადმოწევას და ტერიტორიების დაკარგვას ნიშნავს. ამასთან, ჩვენს კირქვას მოიხმარენ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც კიდევ დამატებით შემოსავალს გვაძლევს.

ადგილობრივ ბიუჯეტში ყველაზე დიდი წილი მაინც მიწის გადასახადიდან შემოდის, თუმცა, ის, ძირითადად, სტაბილურია, იმის გამო, რომ სახნავ-სათესი თუ საძოვარი ფართობები თითქმის არ იცვლება.

მიმდინარე წელს ჩვენი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იყო, რისთვისაც იხარჯება 13 931 619 ლარი. რეგიონალური ფონდით დაგეგმილ სამუშაოებზე იხარჯება 1 710 111ლარი,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებზე- 418 215 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან-620 486 ლარი.

ამ კუთხით უამრავი სამუშაო შესრულდა: მოასფალტდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა გზებს. ქალაქ დედოფლისწყაროში გ. ტაბიძის, ნ. ვაჩნაძისა და თამარის ქუჩებზე ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა, ა. ნატროშვილის, გოგებაშილის და სკოლის ქუჩებზე დაიგო ასფალტის საფარი, სოფელ სამრეკლოში მოასფალტდა და კიუვეტები მოეწყო X და XI ქუჩებზე, ზემო მაჩხაანსა და სამრეკლოში მოიხრეშა შიდა გზები, რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაუტარდა „ქუმბათი-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს“ გზას, მიმდინარეობს „წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის“ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და გპირდებით, რომ მომავალ წელს ტრაქტორიდან საბათლომდე გზა იქნება სრულად გამართული.

სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა, აგრეთვე, მრავალ შენობა-ნაგებობას. ქ. დედოფლისწყაროში მრავალბინიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია მოხდა,მაღალ დონეზე გარემონტდა სააღმზრდელო ცენტრის ოთახები. მართალია, კვების პრობლემა საგრძნობლად გავაუმჯობესეთ „სათნოების სახლში“, სადაც ყოველდღიურად 250 ბენეფიციარი იკვებება, მაგრამ ოთახები ძალიან შელახული იყო. ამიტომ გავიღეთ ხარჯები და „სათნოების სახლი „ გარემონტდა. ახლა იქ ჩვენი თანამოქალაქეები კომფორტულად გრძნობენ თავს. სერიოზული სამუშაოები ჩატარდა ქალაქის N3 ბაგა-ბაღში: საფუძვლიანად გამაგრდა საძირკველი, განახლდა ფასადი, მის მიმდებარედ, დოდაშვილის ქუჩაზე მოეწყო მინი სპორტული მოედანი და ატრაქციონები, რითაც საბავშვო ბაღის ბავშვებთან ერთად იმ ტერიტორიის ბავშვები და მოზარდი ახალგაზრდობა სარგებლობს. ბავშვთა გასართობ მოედანზე ატრაქციონები დამონტაჟდა აგრეთვე ნიკორციხის ქუჩაზე, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია. ჩატარდა N1 და N4 ბაღების სახურავების და ფასადის რეაბილიტაცია. დასრულდა ფიროსმანის, ზემო ქედის N1, სამთაწყაროსა და ოზაანის საბავშვო ბაღების სახურავებისა და ფასადის რეაბილიტაციაც. ასე რომ, მუნიციპალიტეტში მოქმედი 17 საბავშვო ბაღიდან, ჩვენი ხელისუფლების მიერ, მოხდა ყველა მათგანის სრული რეაბილიტაცია. ყველამ იცის, რომ საბავშვო ბაღებისათვის ხარჯები, მათ შორის მშობელთა გადასახადიც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და იქ ყველა პირობაა იმისთვის, რომ ჩვენი მოზარდი თაობა გაიზარდოს ჯანმრთელი და განათლებული. სწორედ ამიტომ მოიმატა ბავშვთა რაოდენობამ ბაღებში და თითოეული ჯგუფი მაქსიმალურად არის დატვირთული.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას არ ჰქონდა შენობა, რაც ხელს უშლიდა მის სრულფასოვან საქმიანობას. წელს ჩვენმა მოსახლეობამ მიიღო ახალი, კომფორტული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სამკითხველო დარბაზი, საბავშვო განყოფილება და წიგნსაცავი, რომელიც 74 690 წიგნს ითვლის. მათ შორის 30 ათასამდე საბავშვო წიგნია.

ყველამ იცის, თუ როგორი მძიმე პირობები იყო ჩვენს საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში. ჩვენ შევასრულეთ დანაპირები და 25 საწოლზე გათვლილი, მრავალპროფილიანი საავადმყოფო-პოლიკლინიკის შენობა, საუკეთესო, უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი, დღეს ჩვენი ხალხის სამსახურშია. ჩვენი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის

(გაგრძელება გვ.3)

# „ადამიანი ბედნიერი და წარმატებული რომ იყოს, უნდა აკეთოს ის საქმე, რაც ძალიან უყვარს“...



**მინი დოსიე:**
დაიბადა 1985 წლის 10 აგვისტოს ქ. დედოფლისწყაროში,
2007წელს დაამთავრა „ევროპული უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტი.
2012 წლიდან 2016 წლის სექტემბრამდე მუშაობდა სანოტარო ბიუროში ნოტარიუსის თანაშემწის და ნოტარიუსის შემცვლელი პირის თანამდებობაზე.
2016 წლის 5 სექტემბრის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა ნოტარიუსად დედოფლისწყაროში.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

რამდენიმე თვეა, დედოფლისწყაროს ახალი ნოტარიუსი ჰყავს. მაია მენთეშაშვილი ახალგაზრდა იურისტია, რომელმაც რამდენიმეთვიანი შეუპოვარი სწავლისა და გამოცდების შედეგად ნოტარიუსის კვალიფიკაცია მიიღო. ის იუსტიციის მინისტრმა სამი წლით დანიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შემდეგ კი მაია ჩვენს რაიონს და მოსახლეობას დაემშვიდობება და მოღვაწეობას თბილისში გააგრძელებს, სადაც ოჯახი და სამი შვილი ელოდება.

**– მაია, რამ განსაზღვრა შენი პროფესიული არჩევანი?**

– პროფესიულ არჩევანს, ზოგადად, ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო.

**– რატომ მაინცდამაინც ნოტარიუსის კარიერა.**

– დამეთანხმებით, ადამიანი ბედნიერი და წარმატებული რომ იყოს, უნდა აკეთოს ის საქმე, რაც ძალიან უყვარს.

დიახ, ძალიან რთულია, როცა ოჯახიდან შორს ხარ, მაგრამ კიდევ უფრო რთული იქნებოდა, უარი მეთქვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით 2015 წლის დეკემბერში დაწყებული სანოტარო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში ჩემი მცირედი წვლილის შეტანაზე, რომელიც სანოტარო მომსახურების მაქსიმალურად ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს. 2016 წელს ნოტარიუსები უკვე 16 ისეთ მუნიციპალიტეტში დანიშნეს, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ იყო.

ნოტარიუსის ფუნქციებიდან დედოფისწყაროში სამემკვიდრეო საქმისწარმოება და სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნა ყველაზე აქტუალურია. მოთხოვნადია ასევე მინდობილობის, ხელმოწერის ნამდვილობის, დედანთან ასლის შესაბამისობის დამოწმება, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა.

სირთულეები ძირითადად დაკავშირებულია სამკვიდრო მოწმობის მიღებასთან, რაც, ვფიქრობ, რომ საზოგადოების ნაკლებად და არასწორად ინფორმირებულობასთანაა კავშირში. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებული უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან, მარტივად რომ ვთქვათ, მემკვიდრემ ყოველგვარი ზედმეტი პროცედურა თავიდან რომ აიცილოს ნოტარიუსს უნდა მიმართოს მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის ვადის ამოწურვამდე და არა ექვსი თვის შემდეგ, როგორც გავრცელებულია საზოგადოებაში.ხოლო, რაც შეეხება სამკვიდრო მოწმობას, იგი ეძლევათ მემკვიდრეებს მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს.

და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც გულთბილად მიმიღო თქვენს რაიონში და შეეცადა, ხელი შეეწყო სანოტარო საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში. იმედი მაქვს, დედოფლისწყაროში ჩემი მუშაობის პერიოდში ბევრ ადამიანს გავუწევ სამართლებრივ დახმარებას და ერთად გადავწყვეტთ იმ საკითხებს, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში ნოტარიუსის არყოფნამ გამოიწვია.

ახლა კი გთავაზობთ ბლიცინტერვიუს, რომელიც მაიასთან ჩავწერეთ:

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ დავბრუნდებოდი დედოფლისწყაროში.

ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში – შვილები, ბედნიერებაა რომ სამი უსაყვარლესი შვილი მყავს.

**მოვლენა, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა –** ყველა მოვლენა რაღაცნაირად ცვლის ცხოვრებას.

**უარს არასოდეს ვიტყვი:** შვილებზე, სიცოცხლეზე, მზეზე, მდელოზე, ყვავილებზე...

**როცა მაქებენ** – ცოტა მომწონს, ცოტა მერიდება....

**როცა მატყუებენ?** არა მგონია, ხანდახან თვითონ ვიტყუებ თავს.

**როცა მაკრიტიკებენ** – ჯანსაღი კრიტიკა მისაღებიცაა და საჭიროც.

**ვნანობ** – არაფერს.

**ჩემთვის მიუღებელია** – ყველაფერი, რაც არ არის მისაღები.

**არასოდეს ვამბობ** – რომ მიზანი მიღწეულია.

**ცხოვრება თავიდან რომ იწყებოდეს –** რაღაცეებს აუცილებლად შევცვლიდი.

**თავისუფლება არის** – სიყვარული.

**ჩემი კომფორტისთვის აუცილებელია** – ჩემი ოჯახი.

**დედოფლისწყარო ჩემთვის არის** – ახლის დასაწყისი.

**ტყუილი გამართლებულია, როცა** – ემსახურება სიკეთეს.

**ყველაზე ხშირად ვფიქრობ** – შვილებზე.

**მარადიულია** – სიცოცხლე, პოეზია, ხელოვნება...

**ბედნიერება არის** – სიყვარულში.

**ვერასოდეს ვიქნებოდი** – ფიზიკოსი.

**სტიმულს მაძლევს** – წარმატებით გაკეთებული საქმე.

ინგა შიოლაშვილი

# ჩვენი გუნდი პოპულარობისთვის არ მუშაობს, ამას გაკეთებული საქმეები ლაპარაკობს!

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წლიური ანგარიში 2016 წელს

(მეორე გვერდიდან)

ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ემსახურება „წითელი ჯვრის“ მობილური კაბინეტი, რომელიც ევროსტანდარტების დონეზე რაიონის ბიუჯეტით გარემონტდა და იაპონიის საელჩოს მიერ აღიჭურვა თანამედროვე, მაღალხარისხიანი აპარატურით.აქ მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ ყველა მოქალაქეს ნებიმიერი სახის სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება უფასოდ შეუძლია. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეღავათია ამ კატეგორიის ადამიანებისთვის. ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, რეგიონული ჯანდაცვის ცენტრისა და „წითელი ჯვრის“ მობილური კაბინეტის ორგანიზებით, მოსახლეობას რამდენჯერმე ჩაუტარდა უფასო სამედიცინო კვლევები.

აშკარა გამოცოცხლება იგრძნობა კულტურულ ცხოვრებაში. წელს 23 კულტურული ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის საანგარიშო და გალა კონცერტები, სპექტაკლები და სახალხო დღესასწაულები. დაუვიწყარი იყო 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მულტფილმების, ზღაპრის გმირებისა და ქუჩის დრამერებისაგან შემდგარი მოძრავი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სანახაობა, რომელმაც მთელი ქალაქი მოიცვა. ამ დღეებში საგანგებოდ აღინიშნა კულტურის სახლის ექსპლუატაციაში შესვლის 50 წლისთავი. კულტურული ცხოვრება ადამიანის მოთხოვნილებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ამ პროცესს. გამგეობის მხარდაჭერით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ორგანიზებით დედოფლისწყაროს კულტურის სახლში განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტი „ეტალონი-დედოფლისწყარო“, სადაც ყველა სოფლის საჯარო სკოლის 46-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

წარმატებები გვაქვს სპორტშიც.აქ წელს 46 სპორტული ღონისძიება და შეჯიბრი ჩატარდა. გვყავს სხვადასხვა რანგის ჩემპიონები, მაგალითად: კინგ-ბოქსში საქართველოს 6 ჩემპიონი,უშუ-ში - 8 ჩემპიონი,ძიუდოში-1, ხოლო კ-1-ში- 3 საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი. საამაყოა, რომ ჩვენი კალათბურთელები კახეთის ჩემპიონები გახდნენ, ფრენბურთის გუნდმა კი კახეთში პირველი, ხოლო საქართველოს ჩემპიონატში მეხუთე ადგილი მოიპოვა. გვყავს ევროპის რეკორდსმენები ორჭიდში – საქართველოს ჩემპიონატში პირევლი ადგილი და კავკასიის ჩემპიონატში პირველი ადგილი.

ის, რომ ქალაქი და სოფელბი ძველებურად ჩაბნელებული აღარ არის, ყველასთვის სასიამოვნოა. ქალაქში წელს 7, 3 კმ სიგრძის განათება დაემატა და თითქმის ყველა ქუჩა მოიცვა, ზემო მაჩხაანში - 3,8 კმ არბოშიკში - 3,4 კმ, სამრეკლოში - 4,8კმ, ოზაანში - 1,3კმ, ხოლო ხორნაბუჯში-5, 1კმ-ის სიგრძის ახალი, თანამედროვე ტიპის განათება დამონტაჟდა, რომელიც განათების ხარისხითაც და გამძლეობითაც ბევრად სჯობია ძველ სისტემებს. სულ რაიონში 25, 7 კმ სიგრძის განათება მოეწყო. სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება.

დიდი სამუსაოები ჩატარდა რაიონის წყალმომარაგებისა და სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის მიზნით: სოფელ ფიროსმანში სრულდება წყლის სატუმბი სადგურის მშენებლობა, სამთაწყაროში ჩაიწყო ახალი სარწყავი მილები და რეაბილიტირდა სარწყავი სისტემის არხი 40კილომეტრზე. მართალია, საკმაოდ ძვირადღირებული პროექტრი განხორციელდა - ამაში 1 843 807 ლარი დაიხარჯა, მაგრამ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ საზღვრისპირა სოფელბისთვის, სადაც შემოსავლის ძირითად წყაროს მევენახეობა წარმოადგენს და რწყვის გარეშე აქ მოსავლის მიღება თითქმის წარმოუდგენელია.

სასმელი წყლის ნაკლებობას ჩვენი რაიონი სულ მუდამ განიცდიდა. ჩვენი გუნდის მთავრობაში მოსვლის შემდეგ ამ კუთხით ეტაპობრივად მრავალი სამუშაო ჩატარდა. ასე იყო ამ წელსაც, დარჩენილ უბნებზე წყლის ქსელი მოეწყო მირზაანში, ქვემო ქედში, სამთაწყაროში. სოფელ გამარჯვებაში „ხუთმილას“ სათავე ნაგებობისთვის მიერთებამ გაზარდა წყლის დებეტი და სოფლის დარჩენილი უბნებიც დაკმაყოფილდა, ჭოეთში მოეწყო წყლის რეზერვუარი და დაიქსელა მთლიანად, საბათლოში წნევის გაზრდის მიზნით მოხდა წყლის ავზის აწევა და დარჩენილი უბნებიც მომარაგდა, არბოშიკში ორ ჭაბურღილზე შეიცვალა ტუმბოები და დასრულდა ცენტრალური წყალსადენის რეაბილიტაცია, წყლის სამივე ჭაბურღილის რეაბილიტაცია ჩატარდა ფიროსმანში.

რაც შეეხება ქალაქს, ბოლო წლების განმავლობაში ზაფხულობით სერიოზული პრობლემები გვექმნებოდა, გასულ წელს დაიწყო და მზად არის ელიის მთის ძირში სადრენაჟე სისტემა და წყალშემკრები აუზი, რომელიც მიერთებულია ცენტრალური წყლის რეზერვუარს. გაზაფხულზე მოხდება მისი ამოქმედება და ზაფხულში გრაფიკი აღარ დასჭირდება ამ სისტემაზე მიერთებულ მომხმარებელს.

ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ძირითად საქმიანობას და, შესაბამისად შემოსავალსაც, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის სამუშაოებისთვის, ხელშეწყობის პროეტმა მცირემიწიანი გლეხები, მიტოვებულ მიწებს ისევ მიუბრუნა, წელს 8 400 ბენეფიციარმა ისარგებლა ხვნის ბარათებით. ამინდმაც ხელი შეგვიწყო და ქერისა და ხორბლის მოსავალმა ერთ ჰექტარზე 4-6 ტონამდე შეადგინა. ამის გამო გაჭირდა კომბაინების შოვნა. გამგეობის ძალისხმევით აზრებაიჯანიდან დამატებით 30 კომბაინი შემოვიყვანეთ, რამაც მოსავლის უდანაკარგოდ აღებას შეუწყო ხელი. ნორმალური მოსავალი მიიღო მოსახლეობამ მზესუმზირის ნათესებიდანაც, რომელმაც რაიონში 4 500 ჰექტარი მოიცვა. მართალია, პროდუქციის გასაღების ტემპი და ფასი მთლად სახარბიელო არ არის, მაგრამ ამას თანდათან ბაზარი დაარეგულირებს და ხალხიც კმაყოფილი დარჩება. რაც შეეხება ყურძნის მოსავალს, წელს 2 127 ტონა ყურძენი დაიკრიფა, მათვარობამ კვლავ სუფსიდირება მოახდინა და საფერავის ღირებულება, 1,05 ლარი იყო, რქაწითელისა კი,-0,80 ლარი. საბოლოოდ მოსახლეობის შემოსავალმა ყურძნიდან 1 830 000 ლარი შეადგინა. მოსახლეობა მევენახეობას ნელ-ნელა უბრუნდება, წელს მუნიციპალიტეტში 65 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა, აქედან 57 ჰექტარი რქაწითელია, ხოლო 8 ჰექტარი – საფერავი.



ყველა შემოსავალი და წარმატება იმიტომ გვჭირდება, რომ ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. მართალია, ფინანსურად მთლად წელში გამართული ვერ ვართ, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, სოციალური პროექტების განხორციელება პრიორიტეტად ვაქციოთ. ამ კუთხით წელს სულ 593 000 ლარი იხარჯება. მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამით დახმარება გაეწია 1764 ბენეფიციარს. უზრუნველყოფილია 250 ბენეფიციარის უფასო კვება „სათნოების სახლში“, გაიზარდა ხარჯები ზამთრის სეზონზე გათბობის უზრუნველსაყოფად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ინვალიდებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარიდან 250 ლარამდე გაიზარდა, მრავალშვილიან ოჯახებში, სადაც ოთხი ბავშვი მაინც არის არასრულწლოვანი, თითოეულ ბავშვზე 50 ლარი დახმარებაა, გამარტივდა პროცედურები გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინასებასა და თანადაფინანსებაზე, სოციალურ პაკეტს დაემატა 0-დან 6 წლამდე ბავშვის და ონკოლოგიური ავადმყოფების დაფინანსება სახელმწიფო ტარიფების გათვალისწინების გარეშე.

გამგეობის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მეტი ყურადღება დაეთმო ადმინისტრაციული საქმის წარმოებას. წელს გამგეობაში განსახილველად შემოსულია 2056 განცხადება. აქედან: საფინანსო,- საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში-1778 განცხადება, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში-172, ზედამხედველობის სამსახურში-39, ადმინისტრაციულ სამსახურში-60, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლტა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეტა სამსახურში-7 განცხადება. დადებითი პასუხი გაეცა 1953 განცხადებას, უარყოფითი - 77, განხილვის პროცესშია 26 განცხადება.

უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. ვიცით რომ, ყველა სოფელი, მისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში, თვითონ ირჩევს პრიორიტეტებს და გასაკეთებელ სამუშაოებს სოფლის კრებაზე. ძალიან ძნელია, სათითაოდ ჩამოვთავლოთ რომელ სოფელში რა გაკეთდა, მაგრამ ზოგადად ვიტყვით, რომ ძირითადი ყურადღება წყალმომარაგებას, სანიაღვრე არხების მოწყობა-გაწმენდა-რეაბილიტაციას, გარე განათებას, სასაფლაოების შემოღობვას, საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობას, სამამულო ომსა და აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალების რეაბილიტაციას, სპორტული ინვენტარის შეძენას და სხვა მრავალ ღონისძიებას დაეთმო. ამ კუთხით ხორნაბუჯში 62 310 ლარი დაიხარჯა, გამარჯვებაში-32 025 ლარი, სამრეკლოში-50 755 ლარი, არბოშიკში 30 628 ლარი, ზემო ქედში-46 510 ლარი, არხილოსკალოში 27 150 ლარი, ქვემო ქედში 42 300 ლარი, სამთაწყაროში-54 167 ლარი, ფიროსმანში-73 263 ლარი, ხოლო საბათლოში-13 200 ლარი.

აქტიურად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. მაგალითად, „სიდას“ პროექტის ფარგლებში და ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელშეწყობით სამთაწყაროში დაფინანსდა 13 ბიზნეს იდეა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სფეროში, აქვე 14 უბანზე მოხდა წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკოხედვა“, „ავსტრიის წითელი ჯვრის“ და „საქართველოს წითელი ჯვრის“ წარმომადგენლობა სამთაწყაროს საბავშვო ბაღის 6 ენერგოეფექტური ღუმელი გადასცეს. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ მათთან, და არა მარტო მათთან ნაყოფიერ თანამშრომლობას. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელ ზემო მაჩხაანში კომპიუტერული ცენტრი თანამედროვე პერსონალური კომპიუტერებით აღიჭურვა, რის საფუძველზეც მოსახლეობა შეძლებს ყველა სახის სასურველი ინფორმაციის მარტივად და სწრაფად მიღებას.

სიახლე გვაქვს არხილოსკალოშიც. აქ იუსტიციის სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით რიგით 35-ე საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა კი, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით მოხდა. ეს დიდი შეღავათია ქედების ზონის მაცხოვრებლებისთვის, რომლებსაც ერთი ფანჯრის პრინციპით შუძლიათ მიიღონ მრავალი სახის მომსახურება და აღარ მოუწევთ სიარული რაიონულ ცენტრსა, თუ დედაქალაქში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე სასაზღვრო პოლიციის სექტორი „იორის“ ახალი შენობა გახსნა, რომელიც სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის 40 კილომეტრიანი მონაკვეთის ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფს, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებს. სამინისტრომ 3 ახალი ავტომანქანა გადასცა შსს დედოფლისწყაროს სამმართველოს, რითაც მუშაობის უკეთესი პირობები შეუქმნა სამსახურს აქტიურად იდგეს მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის სადარაჯოზე.

ძვირფასო მეგობრებო, მადლობა მობრძანებისა და მოსმენისთვის. ჩვენ სამომავლოდაც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება გვაქვს გეგმაში. ჩვენი პრიორიტეტები კვლავაც იქნება: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, განათლება, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, სრული საირიგაციო სისტემის მოწყობა სოფელ სამთაწყაროსა და ფიროსმანში, გამორჩეულ ყურადღებას დავუთმობთ ტურიზმს და ყველანაირად ვეცდებით, მომავალი უკეთესი იყოს დღევანდელზე. ჩვენი გუნდი პოპულარობისთვის არ მუშაობს, ამაზე გაკეთებული საქმეებით ვილაპარაკებთ!-თქვა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

2016 წლის ანგარიში ჩაბარებულია, წინ 2017 წელია, ვნახოთ რას მოგვიტანს იგი.

ნაირა გორაშვილი





# კალმით გადმოცემული ემოცია



რედაქციაში წერილი მოვიდა. წერილს ჩანახატი ახლდა სათაურით -„როდესაც მცივა, ვთამაშობ“. ჩანახატის ავტორი მეათე კლასის მოსწავლე ნინო მეხრიშვილი გახლავთ. ნინო მეხრიშვილის ესსე, რომელმაც „სენტენციის“ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვება მოიპოვა, ჩვენს ხელთაა და გვსურს „შირაქის“ მკითხველსაც გავაცნოთ. მანამდე კი, თავად ავტორს, ახალგაზრდა ნინო მეხრიშვილს გაგაცნობთ, რომელიც საკმაოდ ნაკითხი, კარგი მოსაუბრე და საინტერესო რესპოდენტი აღმოჩნდა.

მინი დოსიე: ნინო მეხრიშვილი არის 16 წლის, სწავლობს ოზაანის საჯარო სკოლაში და არის მეათე კლასში, უყვარს ხელოვნება, ხატვა, წერა. არ შეუძლია, მაგრამ ძალიან სიამოვნებს ქართული ხალხური ცეკვების ყურება, სიმღერების მოსმენა. ნინოსთის ხელოვნება არის სულის თავშესაფარი, საიდანაც იგი ღებულობს ენერგიის წყაროს. ამ თვალსაზრისით ნინოს შეუძლია ყველაფერს სხვანაირი თვალით შეხედოს, მიიღოს ყველა გამოწვევა, გაუმკლავდეს მას და ცხოვრების ახალი შანსები, ახალი რეალობა დაინახოს საკუთარ თავში. ნინო მეხრიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული უამრავ დეკლამატორულ, ლიტერატურულ და სახვითი ხელოვნების კონკურსებში, სადაც ის დაჯილდოვებულია სიგელებით, დიპლომებით. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, მრავალმხრივი ნიჭის მქონე პატარა ქალბატონი ჩემს კითხვებს პასუხობს.

**– ნინო, როგორ გაჩნდა ჩანახატი „როდესაც მცივა ვთამაშობ“?!**

– სკოლაში მოგვივიდა საკონკურსო თემის განაცხადი, რომ დაგვეწერა „როდესაც მცივა ვთამაშობ“. მე დავინტერესდი ამ თემით და ხშირად ვფიქრობდი, რა კუთხით შეიძლებოდა დამეწერა, მინდოდა ყოფილიყო ისეთი, რომ მკითხველისთის მისაღები და სასიამოვნო წასაკითხი ყოფილიყო. საერთოდ, ყოველთვის როდესაც ვკითხულობ წიგნს, მწერლის სტილს ვუკვირდები, როგორ ენას ხმარობს გადმოსაცემად, ადვილი წასაკითხია თუ რთული, რადგანაც ეს იყო „სენტენციის“ დავალება, მინდოდა, გადავწყვიტე, დამეწერა ისეთ საკითხზე, რაც მკითხველის გულს უფრო მეტად მოხვდებოდა და მოეწონებოდათ. ამიტომ ავარჩიე სოციალურად გაჭირვებული, მიუსაფარი ბავშვის თემა. მე ყოველთვის გული მწყდებოდა იმ ბავშვებზე, რომელთაც არ აქვთ შანსი ის მიიღონ ცხოვრებისგან, რასაც იმსახურებენ. ამიტომ, მათი მდგომარეობა ყველაზე მეტად მაფიქრებს. ჩემი თემაც ამით გავშალე.

**– როდის გაქვს წერის განწყობა?**

– სხვა ჩანაწერებიც ბევრი მაქვს, ძირითადად წერა მინდა მაშინ, როდესაც რაიმე ნაწარმოებს ვკითხულობ, მაგალითად, „ჯეინ ეარს“ როდესაც ვკითხულობდი, კალმის და ფურცლის აღებისთვის დახარჯული დროც კი მენანებოდა, იმდენად სწრაფად მსურდა დამეწერა რაიმე. მინდოდა, იმ წამში წიგნი გადამედო და ჩემი დამოკიდებულება, ჩემი ემოციები დამეწერა, ზუსტად ისეთივე ენით, ისეთივე სტილით, როგორც შარლოტა ბრონტე წერდა. ჰიუგოს „საბრალონმაც“ დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, ძალიან მომეწონა მისი წერის სტილიც.

**– რას გაძლევს წერა?**

– წერა მაძლევს სულიერ საზრდოს, წერა საშუალებაა საკუთარ მეში ყველაფერი კარგად გავაანალიზო, ის დავინახო, რასაც ერთი შეხედვით ვერ ვამჩნევთ, ხაზი სხვანაირად გავუსვა და შევითვისო...

**– ასეთი ჩანახატები, ლიტერატურასთან თანაზიარობის გარეშე არ მოდის, ეჭვიც არ მეპარება, ეცნობი თანამედროვე კლასიკურ ლიტერატურას, შენს მიერ წაკითხული მხატვრული ლიტერატურიდან რომელს გამოყოფდი ?**

– ესე ვერ გამოვყოფ, შეიძლება სულ სხვა ჟანრში იყოს, რომელიც მე არ მიყვარს, მაგრამ იმდენად დიდი იყოს და იმდენად ახალი სათქმელი იყოს ნათქვამი... ვთვლი, რომ ყველა ჟანრს პატივი უნდა ვცეთ, მე ძალიან მიყვარს ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“.

**– თანამედროვე ქართულ მწერლობას თუ ეცნობი?**

– ძალიან მომწონს დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ და მისივე „ამერიკული ზღაპრები“, საზღვარგარეთის ლიტერატურიდან კი ჯოან როულინგის „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“. ჯონ როულინგი იყო ჩემთვის ის წიგნი, რომელმაც 180 გრადუსით შემოატრიალა ჩემი ცხოვრება. მისი წაკითხვის შემდეგ ჩემი პირველი მეგობრები, რომლებთანაც მე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, ის სამი გმირი გახდა, ჰარი, რონი და ჰერმი,რომლებიც ამ წიგნში არიან.

**– ნინო, როგორია შენი თაობა?**

– ჩემი თანატოლების საქციელი და ჩემიც ხშირად ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს. ყოველთვის ვფიქრობ, როდესაც რამეს იტყვი ან გააკეთებ, იმ წამში ვერ აკეთებ ანალიზს, ეს სწორი იყო, თუ არასწორი. მიმაჩნია, რომ ადამიანმა, ხშირად უნდა იფიქროს თავისჩადენილ საქციელზე და ამ ფიქრის შედეგად, როდესაც უკვე აქვს ამა თუ იმ საკითხზე ჩამოყალიბებული აზრი, შემდეგ შედარებით ნაკლებ შეცდომებს დაუშვებს. არ არის სამარცხვინო, თუ ადამიანი თავის თავზე მიიღებს გაკვეთილს, არც ის არის დანაშაული, თუ სხვა მეგობრის მაგალითს აიღებს.

**–რა არ მოგწონს თანამედროვე თაობაში?**

– არ მომწონს, როდესაც ცოტა გადაჭარბებულად, იუმორის თვალით უყურებენ იმ ფაქტებს, რომელიც გულთან სხვანაირად არის მისატანი, მიმაჩნია, რომ მათი მხრიდან ყველაფერი სასაცილოდ არ უნდა გადაიქცეს.

**– შენს გარშემო თუ კითხულობს ლიტერატურას ახალგაზრდობა ისე, როგორც შენ?**

– არ კითხულობენ ნამდვილად და გული მწყდება ხოლმე, რადგან ნაკითხი ადამიანი სულ სხვანაირია.

**– ამბობენ, წელიწადის დრო და ფერთა გამაში გამორჩეული ფერები განსაზღვრავს ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროს, მაინტერესებს, შენი საყვარელი ფერები და სეზონი რომელია?**

– ფერებიდან მიყვარს: წითელი, შავი და ვარდისფერი. რაც შეეხება სეზონს, ზაფხული არის ჩემთვის ყველაზე კარგი სეზონი. ზაფხული საერთოდ ნიშნავს ახალ შესაძლებლობებს, ახალ განვითარებას, ამ დროს ჩემს თავს უფრო მეტ დროს ვუთმობ და ბევრი დრო მაქვს კითხვის, ფიქრისა და წერისთვის.

**– რას იტყვი, რომელია შენი საყვარელი საგანი და რას გეგმავ მომავალში, რა პროფესიას გაჰყვები?**

– მე ძალიან მიყვარს ინგლისური და გული მწყდება ხოლმე, თანამედროვე სწავლებაში სხვანაირი სტანდარტები და მოთხოვნები წამოვიდა და ამ სტანდარტებს პედაგოგები თავიანთ პედაგოგიურ გამოცდილებას გამოწვევებად არ უყენებენ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მათთვის აქტუალური არაა ეს საკითხი. მსურს, რომ სწავლება ბევრად უფრო ცოცხალი გახდეს, მეთოდიკა კი, შეიცვალოს. ზოგადად, ფსიქოლოგია მაინტერესებს, მინდა ვიყო შემდგარი ფსიქოლოგი, მაგრამ, როგორც ვხედავ, ისე არ ვითარდება მოვლენები, რომ გამოვიყენო ეს პროფესია, ჯერ იმიტომ, რომ არ არის სამუშაოები რეგიონების მხრივ, როგორც თბილისშია და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, არ ვარ დარწმუნებული, რომ აუცილებლად მექნება ფინანსური საშუალება თუ ქალაქში მომიწევს ცხოვრება, ვუშვებ იმასაც, რომ შესაძლოა, სულაც აქ ჩამოვიდე საცხოვრებლად, ამიტომ ვფიქრობ, ისეთი პროფესია ავირჩიო, რეგიონშიც რენტაბელური იყოს.

**– გენდერული ბალანსისადმი თანამედროვე მიდგომები 21-ე საუკუნეში ყველაზე მთავარი მოთხოვნაა , მაინტერესებს შენი აზრი, როგორც რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდა გოგონას, მინდა გკითხო, როგორ უყურებ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას და უნდა არსებობდეს თუ არა მათ შორის უფლებათა ბალანსი?**

– სხვათა შორის, მე დაწერილი მაქვს ძალიან კარგი ჩანახატი ამ თემასთან დაკავშირებით, სახელწოდებით -„ლეკვი ლომისა სწორია“. თუ გამომიქვეყნებთ, აუცილებლად გამოვაგზავნი მასაც თქვენს რედაქციაში. ზოგადად ამ თემაზე ვფიქრობ, რომ უნდა არსებობდეს გენდერული ბალანსი, რა თქმა უნდა. მიმაჩნია, რომ რეგიონებში განსაკუთრებით დისბალანსია ამ კუთხით, თუნდაც იმით, რომ ქალს არ აქვს უფლება მამაკაცს სიტყვით შეეწინააღმდეგოს, რეგიონებში ეს განსაკუთრებით მოდურია, კაცმა უნდა იუფროსოს, ქალმა მხოლოდ თავჩახრილმა იმუშაოს, სურს ეს თუ არ სურს. კაცისგან წამოსული ცუდი სიტყვები, გინება, ყვირილი, ეს ყველაფერი უნდა ისჯებოდეს და უნდა აიკრძალოს ჩემი აზრით. ეს მხოლოდ თრგუნავს არამარტო ქალს ოჯახში, არამედ იქ მყოფ ბავშვებსაც. ქალი ხომ ნაზი არსებაა, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ხშირ შემთვევაში ქალს იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე მამაკაცს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ გვაქვს საუკეთესო მაგალითები, რომ ქართველმა ქალმა იმაზე მეტი შეძლო, ვიდრე მამაკაცმა. მამაკაცები გაურბიან ეკონომიურ კატაკლიზმებს, შვილისთვის მშობლიური მოვალეობების პასუხისმგებლობას, მაგრამ ქალები არ შეუშინდნენ არც გასაჭირს და არც შვილებისადმი აღებულ პასუხისმგებლობას, მათ იტვირთეს და შეძლეს წარმოუდგენელი.

**– შენს სიგელებთან ერთად ვხედავ წიგნს „ახალი საუნჯე“, რომლის შიდა ფურცელი უამრავი ცნობილი მწერლის ავტოგრაფითაა სავსე, როგორ მოხვდი ამდენ მწერლებთან?**

– ფიროსმანის სახლ-მუზეუმში ჩამოსულები იყვნენ მწერლები, მათ პროექტის ფარგლებში უნდა მოევლოთ საქართველო და კახეთში არჩეული ჰქონდათ ფიროსმანის სახლ-მუზეუმი, ჩვენმა პედაგოგმა ელზა შიუკაშვილმა მოაწყო მათთან შეხვედრა და გაცნობა. მწერლებმა წაგვიკითხეს რამდენიმე ნაწარმოები, ბოლოს წამოაყენეს წინადადება, რომ სახელით და გვარებით დაგვესახელებინა შვიდი მწერალი თავისი ნაწარმოებებით. მე, რა თქმა უნდა, დავასახელე შვიდზე მეტი ავტორი თავისი ნაწარმოებებით და ჯილდოდ გადმომეცეს ეს წიგნი, რომლის გარეკანზეც ყველა მწერალმა გააკეთა თავისი ავტოგრაფი. ეს შეხვედრა კარგი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ინგლისურად საუბრის საშუალება მომეცა, რამაც ყველაზე მეტად მომხიბლა, ქართულად საუბარმა შეიძლება ისე არ მომანიჭოს სიამოვნება, როგორც ინგლისურად ადამიანთან დაკონტაქტებამ. ინგლისურში არ ვემზადები რეპეტიტორებთან, ჩემით ვისწავლე, სოციალურ ქსელში საყვარელი ჯგუფი მყავდა, ისინი დებდნენ ხოლმე ვიდეოებს და მინდოდა ის მეთარგმნა, მაშინ არ ვიცოდი ინგლისური ისე კარგად და სხვებს ვათარგმნინებდი, მერე ჩემს თავზე გავბრაზდი, ვსწავლობ ინგლისურს და რატომ არ ვიცი-მეთქი, გამოვნახე ჩემს თავში ძალები და გადავწყვიტე, დამოუკიდებლად შემესწავლა ინგლისური. ასეც მოვიქეცი, ვთარგმნიდი გამუდმებით და იმ დღიდან სულ შეიცვალა ჩემი ინგლისურისადმი დამოკიდებულება. როგორც ჰაერი გჭირდებოდეს, ისეა ინგლისური ჩემთვის. დავჯექი და ვისწავლე. გრამატიკის წიგნებით და სკოლის გარდა ლიტერატურითაც ვინტერესდები. ესეც ჩემთვის კიდევ ერთი შესაძლებლობების გამოცდაა.

**-ნინო, ვიცი რომ ხატავ, ასევე გიტაცებს მხატვრული კითხვაც...**

-კი, ხატვა ძალიან მიყვარს, დავდივარ დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში აკაკი მერაბიშვილთან, ის ჩემს ნახატებს ხელს არ ჰკიდებს, ამბობს, რომ ის რაც შენია, შენად უნდა დარჩეს, სულ სხვა მიმართულებაა და იმდენად კარგია ეს ყველაფერი, რომ არ მინდა ჩავერიოო! მაქვს ხატვაშიც წარმატებული სვლები, თუმცა, არ ვიცი, რა იქნება, მივდევ საკუთარ გულისთქმას, ის მიმიყვანს ალბათ სწორ ხაზთან. ვნახოთ სადამდე განვვითარდები ამ მხრივ. რაც შეეხება ლექსის კითხვას, ამაშიც მუდმივად ვღებულობ მონაწილეობას და აქაც მაქვს მიღებული სიგელები.

-ჩემო პატარა გოგონა, მხატვარო, დეკლამატორო, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულო პატარა ლიტერატურის მოყვარულო თანასოფლელო. გული გამინათდა, როდესაც ასეთ კარგ ახალგაზრდას შევხვდი ჩემი სოფლიდან, მინდა მომავალი გზა დაგილოცო, მყარად დამდგარიყავი შენს პროფესიაში ფეხზე, ცხოვრებაში შენი ნიშა გეპოვოს და გჯეროდეს, შენ აუცილებლად რეალიზებულ, ძლიერ, შემდგარ ქალბატონად მოგვევლინები. მე მჯერა ამის. წარმატება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს პატარა ნინო მეხრიშვილო!

ლალი მეხრიშვილი

**გთავაზობთ ჩანახატს.**

***როდესაც მცივა, ვთამაშობ***

ზამთარია. ცივა. ცივა ჩემს ოთახშიც. იმიტომ, რომ ღუმელი არ ანთია. შარშანაც ციოდა, მაგრამ მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. მამა ცოცხალი მყავდა და ღუმელიც წითლად გიზგიზებდა. ახლა? ახლა აღარც მამაა, დედაც ავად არის, ღუმელიც ჩამქრალია და სიღარიბეც კარსაა მომდგარი.

სიღარიბე... ამ სიტყვამ უამრავი ხალხის მჩექეფარე ცხოვრება უბრალო ყოფად აქცია. აღარც სიხარული, აღარც ღიმილი, აღარც სიყვარული და აღარც სითბო. ყველაფერს გაცრეცილი ელფერი დაჰკრავს. როცა ღარიბი ხარ, თითქოს ყოველწამს გრძნობ, რომ ცხოვრებამ გიმსხვერპლა. ყველაზე დიდი ტკივილი ისაა, რომ ბავშვობიდანვე იგემებ იმ სილას. როდესაც გცივა, გრძნობებიც გეყინება. გინდა, რომ დაძლიო მიწიერი მტანჯველი ჯაჭვები და ამაღელვებელი განცდებით აიჭრა აღმაფრენასა და რეალურ სრულყოფაში, მაგრამ მარტო როგორ მოახერხებ?

სახლში, სადაც არანაირი საცხოვრებელი პირობები არ არის, დაუბერა ქარმა და შეჭირხლულ ფანჯრებში შემზარავი წივილით შემოიჭრა. ქარს თოვლი მოჰყვა. გაყინული ხელით გავაღე კარი და გარეთ გავედი. თოვლს დაეფარა ირგვლივ ყველაფერი. ვისთვის სპეტაკს და ვისთვის აუტანელ თოვლს. ხვავრიელად ბარდნიდა. მაღლა ავიხედე და თავი ციხეში ვიგრძენი. თითქოს თითოეული ფანტელი სველ გისოსებად მერტყმებოდა გარს. განცდა მეუფლებოდა, სიღარიბისთვის ვისჯებოდი ამ თეთრ და გაყინულ „უდაბნოში“.

მცივა.... მცივა, რადგან დედინაცვლის მიერ გამოგდებული გერივით თხელი კაბა მაცვია. ჩემგან ახლოს კი, ორიოდე ნაბიჯში, მოჩანან, ჩაფუთნილი ბავშვები, რომელიც მხიარულად თამაშობენ. დავიხარე, უხელთათმანო ხელებით გავაკეთე გუნდა, ვისროლე, თამაშში ჩავები. ერთად ვიცინოდით, ვგრძნობდი, როგორ მოძრაობდა ძარღვებში სისხლი, როგორ მითბობდა მთელს სხეულს სირბილისგან აჩქარებული გული. სადღაც გაქრა სიცივე. თითქოს შეეშინდა და უკან დაიხია, როდესაც მხიარულმა სიცელქემ ლოყები ამიწითლა. გახურებულ სხეულზე სუსხიც კი მსიამოვნებს.

მოსაღამოვდა. ბავშვები ნელ-ნელა სახლებში გაიკრიფნენ. დავინახე, დედები როგორ ჩქარ-ჩქარა ხდიდნენ სველ ტანსაცმელს და თბილად აცმევდნენ. მე კი?.... მე დავრჩი სველი და დაკონკილი კაბის ამარა.

ეკლესიისკენ წავედი, რომლის გუმბათს ზამთარ-ზაფხულ თბილ სხივთა შარავანდედი ადგას. პირჯვარი გადავიწერე. იესოს ხატს შევხედე. ისეთი სპეტაკი, მადლიანი თვალები აქვს, მზრუნველობა ვიგრძენი. მივხვდი, რომ მარტო არ ვარ. თვალები დავხუჭე და ლოცვა დავიწყე. ლოცვა, რომლითაც ღმერთს ვესაუბრებოდი, გულს ვუშლიდი, შველას ვთხოვდი და ნელ-ნელა ტანჯვისგან ვიცლებოდი. ვმშვიდდებოდი და იმედით ვივსებოდი.

აღარ მახსოვს მიწიერი ტკივილი და განსაცდელი. ამ წამს მხოლოდ ჩემს თავს ვგრძნობ უფლის წინაშე მუხლმოდრეკილი და მხიარული.

ნინო მეხრიშვილი,
**სოფელ ოზაანის**
**საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე.**

# გაიღე სისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე




9 დეკემბერს ,,გაიღე სისხლი ბავშვებისთვის" - სისხლის დონაციის აქციის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს იაშვილის ბავშვთა კლინიკის სისხლის ბანკის წარმომადგენლები ეწვივნენ. სისხლის დონაცია ქ.დედოფლისწყაროს „წითელი ჯვრის" საზოგადოების პირველადი ჯანდაცვის კლინიკასა და სოფელ არხილოსკალოში ჩატარდა, სადაც დედოფლისწყაროელმა მოხალისეებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად სისხლი გაიღეს. აქციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივი თვითმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა.

„ჩვენ გახლავართ იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის წარმომადგენლები, რომლებიც ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის დონაციის აქციას ვმართავთ. დედოფლისწყაროში მსგავსი აქცია ხშირ ხასიათს ატარებს- ის წელიწადში ორჯერ ტარდება. ამისთვის ძალიან დიდ მადლობას ვუხდით თქვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და დედოფლისწყაროელებს, რადგან მოსახლეობის მხრიდან აქტივობა საკმაოდ მაღალია"-განაცხადა გაზეთ „შირაქთან" საუბრისას იაშვილის კლინიკის ექიმმა თამარ ქუნთელიამ.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული აქცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ხორციელდება. იგი პირველად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2016 წლის გაზაფხულზე ჩატარდა.





# „წითელი ჯვრის" მოხალისეთა საერთაშორისო დღე დედოფლისწყაროს ფილიალში

ფასდაუდებელია საქართველოს „წითელი ჯვრის" ორგანიზაციის ფილიალის გახსნა ჩვენს რაიონში.უკვე თვეებია ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული უფასო სამედიცინო აქციები ქველმოქმედების ზღვარს გასცდა. სასიკეთოდ გახარჯული თითოეული ქმედება ხომ ყოველთვის დასაფასებელია. 5 დეკემბერს დედოფლისწყაროს „წითელი ჯვრის" ორგანიზაციის ექიმებმა მორიგი აქცია ჩაატარეს. ექიმებმა სოციალურად გაჭირვებული ოჯახის შვილებს, კერძოდ, სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლეს და ყველა ის გამოკვლევა ჩაუტარეს, რაც მათი კლინიკის ფარგლებში იყო შესაძლებელი. ასზე მეტმა ბავშვმა მიიღო კარდიოლოგიური, ექოსკოპიური, თერაპიული გადამოწმება და აქვე აიღეს სისხლის საერთო ანალიზები. აქცია დედოფლისწყაროს „წითელი ჯვრის" ხელმძღვანელის, ექიმი-გინეკოლოგის ნათელა თამაზაშვილის ინიციატივითა და თაოსნობით შედგა და მასში დედოფლისწყაროს პირველი და მეორე, ხორნაბუჯისა და სამრეკლოს საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველი მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. ახალგაზრდა თაობას „წითელ ჯვარში" ქალბატონ ნათელასთან ერთად მასპინძლობას უწევდნენ კარდიოლოგი ფატი ჯანყარაშვილი, თერაპევტი თეა გიგოლაშვილი, ოკულისტი მაია ტოკლიკიშვილი, ექოსკოპისტი ნუცა ალულიშვილი, ლაბორანტი ია იაკობიშვილი, ექთანი ირმა ჩალახეშაშვილი. აქციას ჰყავდა მოხალისეთა გუნდი, რომლებმაც ბუკლეტები დაარიგეს სკოლებში, ესენი გახლდნენ სოფიო მენთეშაშვილი და მარი ჩალახეშაშვილი.

-„ბავშვებს ვსინჯავ და ვაგზავნი სისხლის საერთო ანალიზზე, დაფიქსირდა ფარისებრი ჯირკვლის პატოლოგიები, თვალის კორექცია, მხედველობის მოშლა, განსაკუთრებით გამოვლინდა თავბრუსხვევები, რისთვისაც გაიგზავნენ ჭიის ანალიზზე. ძალიან მაღალია ბავშვების მომართვიანობა, - ამბობს ჩვენთან საუბარში თერაპევტი თეა გიგოლაშვილი.

-„სოციალურად დაუცველი ვარ და ძალიან მიხარია, რომ მოვიყვანე შვილი და უფასოდ გაესინჯება, გავიკეთეთ კარდიოგრამა და ექოსკოპია, ისეთი არაფერი აღმოაჩნდა, ბავშვი ძირითადად უჩივის თავბრუსხვევებს, ამასთან დაკავშირებით გვითხრეს, რომ სისხლის ანალიზი ავიღოთ, რადგან ჭიაზე შეიტანეს ეჭვი. ამჯერად ანალიზის პასუხს ველოდებით, მადლობა „წითელი ჯვრის" ორგანიზაციას და მათ ექიმებს ამგვარი საქველმოქმედო აქციის მოფიქრებისა და განხორციელებისთვის", - აღნიშნა მშობელმა მარინა ელოიანმა.

-„ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი „წითელი ჯვრის" ორგანიზაცია ძალიან ბევრ აქციას ვატარებთ, დღეს არის წითელი ჯვრის მოხალისეთა საერთაშორისო დღე, ამასთან დაკავშირებით, მე გადავწყვიტე, რომ სკოლის მოსწავლეებთან ჩაგვეტარებინა აქცია, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ გამოკვლევებს იმ აპარატურაზე, რაც ჩვენს პირობებში, ჩვენს დაწესებულებაში არსებობს, ეს გახლავთ სისხლის და შარდის საერთო ანალიზები, ექოსკოპიური, მხედველობის კორექცია, კარდიოლოგიური, თერაპიული გამოკვლევები. დღეს აქციაში მონაწილეობას ღებულობს 4 საჯარო სკოლის, სოციალურად დაუცველი ბავშვები. თავდაუზოგავად შრომობენ ჩემი თანამშრომლები და ყველა კმაყოფილია ამ აქციით, ყოველთვის ხომ არ არის საშუალება, რომ ექიმთან წავიდნენ, ეს აქცია კი იძლევა საშუალებას, რომ ყველასთვის მისაწვდომი გახდეს, იცხოვროს ჯანსალი ცხოვრების წესით", -განაცხადა ჩვენთან საუბარში ნათელა თამაზაშვილმა.

კვლავაც წარმატებებს და ვუსურვებთ დედოფლისწყაროს „წითელი ჯვრის" ორგანიზაციას.

ლალი მეხრიშვილი





# ხსოვნა წასული პოეტებისა

გასულ კვირას მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჩვენი რაიონის ცხოვრებაში, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრებმა რაიონში დაბადებულ ყველა იმ პოეტსა და შემოქმედს გადაუხადეს პარაკლისი, რომლებიც დღეს ცოცხალთა რიგებში აღარ არიან, თუმცა, დედოფლისწყაროს და სრულიად საქართველოს დაუტოვეს დიდი მემკვიდრეობა. დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძარში დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრებმა ჩვენს რაიონში აწ გარდაცვლილი მწერლებისა თუ პოეტების სული მოიხსენიეს და მათთვის სანთლები აანთეს. პარაკლისს მოჰყვა საღამო, რომელიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრების, მუზეუმის დირექტორის ლალი გურასპაულის და ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორის, გიორგი ნატროშვილის თაოსნობით ჩატარდა. ხსოვნის საღამოს სუფრას უხელმძღვანელა დეკანოზმა ნიკოლოზმა, ღონისძიება გიორგი ნატროშვილს მიჰყავდა, სტუმრებს შორის იყვნენ დედოფლისწყაროს არქიტექტორი სერგო ქართველიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მუზეუმის თანამშრომლები, სოფელ სამრეკლოს ხალხურ საკრავთა გუნდი „კელაპტარი“ გაიოზ ხუციშვილის ხელმძღვანელობით. მასპინძლის როლში გახლდნენ რაიონის მწერალთა ასოციაციის წევრები თამაზ წიკლაური, ჯუმბერ უთრუთაშვილი, ლევან ალავერდაშვილი და თავად ასოციაციის თავმჯდომარე ნატო ყატაშვილი. შეხვედრაზე გაიხსენეს წასული პოეტები, რომლებმაც რაიონის ლიტერატურულ ცხოვრებაზე გარკვეული კვალი დატოვეს.

ხლონისძიებაზე გაიხსენეს ანტონ ნატროშვილი, ლიდია ნატროშვილი, ნინო თარიშვილი, იოსებ ბაიაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ივანე წიკლაური, დავით პატატიშვილი, გიორგი გოჩიტაშვილი, ნიკო ყიასაშვილი, ობოლა ჯალაბაური, (ჭინჭარაული), ალექსანდრე ნატროშვილი, დარეჯან ბატიაშვილი, ილია შარაშენიძე, მაკა აბულაშვილი, უშანგი სამუკაშვილი, პეტრე ლესნოვი, გივი ბოსტოლანაშვილი, ზაურ გონაშვილი.

იმისთვის, რომ უფრო ახლოს გამეცნო მკითხველისთვის ჩვენი რაიონის კალმოსნების მშვენიერი შემოქმედება, მათი მცირეოდენი ცხოვრება, რაიონის ბიბლიოთეკას მივაშურე, სადაც “სალბუნის” პირველი გამოცემა მეგულებოდა. მის გამოცემაში ლომის წვლილი დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციას მიუძღვის და მათ წევრებს ჯუმბერ უთრუთაშვილს, თამაზ წიკლაურს და ნატო ყატაშვილს, რომლებიც ამას ძალიან დიდი ძალისხმევის ფასად აკეთებდნენ. ამჯერად, კიდევ უფრო ამაყები ვართ, როდესაც გვაქვს გიორგი ნატროშვილის რედაქტორობით გამოცემული ლიტერატურული ჟურნალი „ხორნაბუჯი“. ამ ყველაფერს, რომელსაც მე ვიტყოდი მთლიანად ჩვენი რაიონის ფურცლებად აკინძული ისტორია ჰქვია, რაიონის საკმაოდ დიდი მემკვიდრეობაა, საგანძურია და ამაში სრულიად დედოფლისწყაროს ყველა ფენის წარმომადგენელს მიუძღვის წვლილი, დაწყებული მცირეწლოვანი ასაკის მკითხველიდან, დამთავრებული უხუცეს მკითხველამდე, დაწყებული ყველაზე გაჭირვებული მკითხველიდან, რომელსაც პურის ფული არ აქვს, მაგრამ გაზეთს და ჟურნალს ყიდულობს, დამთავრებული მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლებით, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუწყონ საგაზეთო, თუ ლიტერატურულ გამომცემლობას, რადგან დიდი ილია ამბობდა, რამდენადაც მეტი გამოცემა აქვს ქვეყანას, მით მაღალია იმ ერის თვითშეგნება და კულტურის მაჩვენებელიო.

სწორედ ამ გამოცემებმა შემოგვინახა ყველა გარდაცვლილი პოეტები და მათი შემოქმედება, რომლებიც მუზეუმში ჩატარებულ საღამოზე მწერლებმა გაიხსენეს.



**ანტონ ნატროშვილი** -ანტონი დაიბადა სოფელ ზემო მაჩხაანში 1852 წლის დეკემბერში, მისი მამა ივანე სოფლის მღვდელი იყო, ანტონი რვა წლის იყო, როდესაც თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, წარჩინებულმა მოსწავლემ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1873 წელს მიენიჭა უფლება პეტერბურგის სასულიერო სასწავლებელში განეგრძო სწავლა სახელმწიფოს ხარჯზე., მისი ნატვრა იყო, წასულიყო სახალხო მასწავლებლად თავის სოფელში. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა პედაგოგად, მოსამართლედ, დირექტორად, ანტონ ნატროშვილმა დატოვა საკმაოდ დიდი ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა, მის კალამს ეკუთვნის უნიკალური კვლევა, „მცხეთა და სვეტიცხოვლის ტაძარი“, „ივერთა მონასტერი“ და სხვა. ანტონ ნატროშვილი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გარდაიცვალა. ანტონ ნატროშვილმა დატოვა უნიკალური მემკვიდრეობა.



**ნინო თარიშვილი**-დაიბადა 1906 წელს, სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის განყოფილებაზე. მუშაობდა ფრანგული ენის მასწავლებლად ჯერ გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში. მისი ლექსები იბეჭდებოდა გასული საუკუნის 20-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში, გამოცემული აქვს ლექსების წიგნი „მზეში“, „გვირილა“.

**იოსებ ბაიაშვილი**-დაიბადა 1908 წლის 2 დეკემბერს თიანეთის რაიონის სოფელ ზემო შარახევში. წერა-კითხვა მშობლიური სოფლის სკოლაში ისწავლა. მუშაობდა სასოფლო საბჭოს რწმუნებულ-აგიტატორად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სასოფლოს საბჭოს მდივნად, თავმჯდომარედ. 1951 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა წითლწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში. აქ ორიოდე წელი იმუშავა ფინ აგენტად, სახელოსნოში დურგლად. ის იყო შეუდარებელი ხალხური მთქმელი, დაგვიტოვა ძალიან დიდი მემკვიდრეობა ლექსების სახით. გარდაიცვალა 1983 წელს, დაკრძალულია ქვემო ქედში, სიკვდილის შემდეგ 1991 წელს, ვახუშტი კოტეტიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით გამოვიდა მისი ლექსების კრებული.

სიყვარულს ნუ ვინ იჩემებს,
ნურც ვინ ხმამაღლა ყვირისა,
გემო არავინ არ იცის
იმის წვერის და ძირისა.
ის არის ძალა ულევი,
უმაგრესია რკინისა.
სულელის გონზე მომყვანი,
ამრევი ბრძენის ტვინისა.
ლხინისა ჭირად მამქცევი,
ლხინზე შამცვლელი ჭირისა,
უკვდავი,უბერებელი,
წინამორბედი ჩვილისა,
ბოძია შეურყეველი,
შვილების,შვილთაშვილისა
თუ ვინმე ცნობასა ჩემობს,
წამება არის ცილისა.
იმასთან ბრძოლას მე ვფიქრობ,
მტვრევა სჯობია ტვინისა,
იკვლიო,დღენი არ გეყოს,
დრო აღარ დაგრჩეს ძილისა!

**დიმიტრი ბენაშვილი**-დაიბადა 1910 წელს ზემო მაჩხაანში. ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატურის მცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე. იყო პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, აქვს სტატიები და მონოგრაფიები, „ალექსანდრე ყაზბეგი“, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება,“ „ვაჟა ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე“ ასევე აქვს შექმნილი „კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“, „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“, „გალაქტიონ ტაბიძე“, „კოლაუ ნადირაძე“...

**გიორგი ნატროშვილი**- დაიბადა 1910 წელს10 ნოემბერს დაამთავრა თსუ ფოლოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობდა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციაში. იყო ლიტერატურული გაზეთის ჟურნალ „დროების“, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, ლეონიძის მუზეუმის დირექტორი. გამოცემული აქვს „დავით კლდიაშვილის შემოქმედება“, „დასავლეთის ფრონტზე“, მოთხრობების კრებული „ისევ გაზაფხული იყო“, უდარდელი კაცის სიკვდილი“, აქვს კრიტიკული ნაწარმოებები „წინაპრები და თანამედროვენი“, „ორი საუკუნის მიჯნაზე“ და სხვა.

**ივანე წიკლაური** -1952 წელს დაიბადა, ჩამოსახლდა ხევსურეთის სოფელ ოშკიდან და დამკვიდრდა არხილოსკალოში. თვითგანათლებული ხალხური მთქმელი გახლდათ, კარგად გაზრდილი მთიული, უყვარდა ნადირობა, ცხენოსნობა, მძიმედ განიცდიდა მთის დატოვებას...

შეხვედრაზე განსაკუთრებული სისათუთით გაიხსენეს ახალგაზრდა პოეტი **მაკა აბულაშვილი**, რომელმაც რაიონის შემოქმედი ადამიანებიდან ყველაზე პატარა ასაკში მყოფმა, 23 წლისამ დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება.

მაკა აბულაშვილი -დაიბადა 1972 წელს 6 ივნისს ქალაქ დედოფლისწყაროში. 1989 წელს მედალზე დაამთავრა საშალო სკოლა, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე. ლექსებს ბავშვობიდან წერდა, მათი დიდი ნაწილი 14-17 წლის ასაკშია დაწერილი, სიხარული თუ ტკივილი, აღტაცება თუ წყენა ნაუცბათევად გადაჰქონდა ქაღალდზე. ასევე დარჩნენ ეს ლექსები ბოლომდე, რადგან მისი დროის დიდი ნაწილი სწავლას მიჰქონდა და მათთვის ველარ იცლიდა. ამ ქვეყნად წუთისოფლის მიერ მისთვის მოზომილი დრო კი მხოლოდ 23 წელი აღმოჩნდა.

* * *

დაკარგული მელოდია, დაკარგული მუზა,
მივიწყებულ ფეთქვას, სუნთქვას,კვლავ მიგ ნება უნდა.
კაცს კაცისთის ოდითგანვე სიყვარული სურდა,
მაგრამ ზოგჯერ მისთვის ერთი ტკბილი სიტყვაც შურდა.
გაცვეთილი ჰოეზია, რუხი გაზაფხული,
როცა ირგვლივ მოფენილა ჭუჭყიანი ფული,
აღარ ფეთქავს სისხლდაცლილი, გაბზარული გული,
ფრთამოჭრილი, გაცრეცილი, მომაკვდავთა სული.
ოცნებები, მომწყვდეული ბოთლში, როგორც ჯინი
და ცხოვრების ჩაუწვდომი მღელვარების ჟინი.
მკლავდა, შიგნით მიტყუებდა ეშმაკების ლხინი,
ჭრელა-ჭრულა ფერებით და სატანის სიცილით.
ცისკენ! ცისკენ! ჩქარა ზემოთ! ჩქარა ცისკენ მინდა!
რადგან ირგვლივ ყოველივე ისე დაიბინდა....
ქარი მიწას, როგორც ეზოს, გულმოდგინედ გვიდა
და ცრემლები მოდიოდა დაკოდილი ხიდან...

* * *

მინდა სიცოცხლე!-არც მინდა
და არც ის ვიცი, რა მინდა.
მინდა სიმშვიდე,-არც მინდა.
მინდა?არ მინდა?
და მაინც ვერ გამიგია, რა მინდა.
თითქოს ქვეყანა გარინდდა,
თითქოს ოცნება გაფრინდა,
თითქოს მზე ცაში გაფრინდა,
მაგრამ არ ვიცი, რა მინდა.
არ მინდა ბედის სიგლახე, საყვარლის მიერ გაყიდვა,
გუშინ მინდოდა სილაღე, დღეს კი ავდრები გახშირდა.
არ მინდა შემობრუნება დაჩრდილულ გზების სახილვად.
ზურგი ვაქციე ყველაფერს, რაც ჩავთვალე, რომ არ მინდა.
და ამ წვალებას ვეზრდები:
„რა მინდა და რა არ მინდა.
ვცხოვრობ, მივდივარ, მოვდივარ,
ეს წესიც ასე დადგინდა,-
ვერ მოვიშორე აზრები:
რა არ მინდა და რა მინდა!

პოეტების ხსოვნის საღამოს ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები. შეისვა ჩვენს რაიონში დაბადებული და მოღვაწე ყველა პოეტის, მწერლის თუ კრიტიკოსის ხსოვნის სადღეგრძელო, სუფრა, რომელიც მუზეუმის თანამშრომელთა მიერ იყო მომზადებული, დეკანოზი ნიკოლოზის მიერ იყო ნაკურთხი. ლექსებს ცვლიდა ანსამბლ „კელაპტარის“ სიმღერები, რომლებმაც ეს სევდიანი ქიზიყური პოეზიის საღამო თავისი მსუყე ქიზიყური ჰანგებით შეავსეს და გაალამაზეს.ლამაზი დღე იყო, იმედის მომცემი, რადგან ხალხი, რომელიც არ ივიწყებს თავის წარსულს, მას აუცილებლად აქვს მომავალი.

ლალი მეხრიშვილი

# მომავალში ქარხნები გაცილებით მეტ ყურძენს ჩაიბარებენ

**იმის გამო, რომ დედოფლისწყაროში მდებარე ვაშლოვანის ნაკრძალი რაიონული ცენტრიდან საკმაოდ მოწყვეტილია და მგზავრობა დამატებით დროს და ძალისხმევას მოითხოვს, ტურისტებისთვის გაცილებით ხელსაყრელია ადგილზე, ან მოკლე მანძილზე არსებული მარშრუტები. პერსპექტიულ სფეროდ ქიზიყური სტუმარმასპინძლობა, განსაკუთრებით საოჯახო მარანში სტუმრობა ითვლება. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საქართველოში ე.წ. ღვინის გზა და საოჯახო მარნები განავითარა. ხარისხის ასამაღლებლად კი მომსახურე პერსონალი რამდენჯერმე გადამზადდა და საჭირო უნარჩვევების ათვისებაში სახელმწიფო დაეხმარა. ეს კი მისასალმებელი ნაბიჯია, რადგან ყველა აღიარებს, რომ საქართველოს ტურისტების მოზიდვის დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა სერიოზული ხარვეზებია ტურისტებთან მომხასურების ხარისხის კუთხით.**

**ისიც ფაქტია, რომ ბოლო ხანს მეზობელ ქვეყნებში არსებულმა დაძაბულმა ვითარებამ, განსაკუთრებით კი თურქეთში გახშირებულმა ტერაქტებმა საქართველოში ტურისტების შემოდინების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდა. ოფიციალური მონაცემების გარდა, ამას ტურიზმის სფეროში დასაქმებულებიც ადასტურებენ. როგორც ჩანს ევროპის ქვეყნებიდანაც თურქეთში წამსვლელთა დიდი ნაწილი საქართველოს ეწვია.**

გოდერძი გონაშვილის საოჯახო მარანი ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვისაც და ზოგადად, დედოფლისწყაროელებისთვის კარგადაა ნაცნობი. გონაშვილი ამბობს, რომ მარნის მოწყობით წინაპრების საქმე გააგრძელა და ბედნიერი იქნება, თუ მისი შთამომავლებიც არ მიატოვებენ ამ საქმეს. „შირაქი" დაინტერესდა, როგორ აფასებს გოდერძი გონაშვილი წლევანდელ ტურისტულ სეზონს და მისი აზრით, რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება ქართული მეღვინეობის და მევენახეობის განვითარებისთვის.

გოდერძი გონაშვილი: **„გასულ წელთან შედარებით ნაკადი მომატებულია. იმატა არა მხოლოდ ტურისტების რიცხვმა, არამედ გაზრდილია ქვეყნების რაოდენობაც. ჩემი მარნის მაგალითზე თუ ვისაუბრებთ, სურათი ასეთია: თუ გასულ წლამდე ძირითადად შემოდიოდნენ ევროპული ქვეყნები, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი და ა.შ. წელს პირველად დაფიქსირდა ისეთი ქვეყნები, რომლებიც მანამდე არ ყოფილა. წელს ვუმასპინძლეთ სტუმრებს ფილიპინებიდან, ფიჯის რესპუბლიკიდან, ჩინეთიდან, კორეიდან, იაპონიიდან და ა.შ. ზოგადად თუ ვისაუბრებთ, ძალიან კმაყოფილი ვარ წლევანდელი სეზონით და მიმაჩნია, რომ ეს სფერო მომავლის საქმეა და სამომავლოდ კიდევ მოიმატებს. ამჟამად ზამთარია, ასეთ დროს სტუმრები აღარ მოდიან. ყველაზე დატვირთული იყო სექტემბრის თვე. ეს კი იმიტომ, რომ ყურძნის კრეფის, დაწურვის რიტუალის შესრულება უცხოელებს ძალიან ხიბლავთ. ზოგჯერ ჩამოსვლამდე წინასწარ გვაძლევენ შეკვეთას, რომ საწნახელი მოვამზადოთ და თავად დაწურონ ღვინო. სიამოვნებით ვაძლევ ამის შესაძლებლობას.**

**– ბატონო გოდერძი, რამდენად კვალიფიციურ მომსახურებას სთავაზობთ სტუმრებს?**

– ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან მაქვს მჭიდრო კონტაქტი. ძირითადად ისინი აძლევენ ტურისტებს ჩემს კოორდინატებს და თბილისიდანვე მიგზავნიან ღვინის ტურიზმით დაინტერესებულ ადამიანებს. ტურიზმის ადმინისტრაციამ ახალი უნარ-ჩვევებიც შეგვძინა, სპეციალური ტრენინგები ჩაგვიტარა და გვასწავლა, როგორ უნდა ვიმუშავოთ უცხოელ სტუმრებთან. მათვე მომანიჭეს სპეციალური სერთიფიკატი და მაქსიმალურად ვითვალისწინებთ ტურისტების სურვილებს. ალბათ ამის დამსახურებაა, რომ ყველა სტუმარი კმაყოფილი მიდის ჩემი მარნიდან და ხშირია შემთხვევები, როცა მათი რეკომენდაციით ზოგიერთ ტურისტს თავისი სხვა ახლობელი გამოუგზავნია.

**– როგორი იყო წელს ტურისტული სეზონი დედოფლისწყაროსთვის, ტურისტების სიმრავლე რამდენად იყო თქვენს მარანში?**

–კვირაში ოთხ ჯგუფს მაინც ვისტუმრებთ ხოლმე, თუმცა არის შემთხვევებიც, როცა დღეში სამი-ოთხი ჯგუფი გვსტუმრობს. თან გასათვალისწინებელია ჩვენი მდებარეობაც. დედოფლისწყარო ჩიხია, შორს მდებარეობს და ტურისტების ძირითადი ნაკადი მიდის მაინც ყვარელი-თელავი-გურჯაანის მიმართულებით. ჩვენთან ისეთი ტურისტები მოდიან, რომელთაც ინტერნეტში ნახეს ჩემი მარანი, ან პირდაპირ ინტერესი აქვთ და სპეციალურად გეგმავენ. გამვლელი ტურისტები არ გვყავს. ზოგჯერ სიღნაღში ჩასულ ტურისტებსაც ვმასპინძლობ. ძირითადად სიყვარულის ქალაქს დაათვალიერებენ ხოლმე, შემდეგ კი ჩემთან სადილობენ და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას ეცნობიან. კახეთისთვის დამახასიათებელ ყველა პროცესში თავადვე ერთვებიან, ჩურჩხელის ამოვლება, ყურძნის დაწურვა, მწვადის შეწვა, პურის და ნაზუქის გამოცხობა და ა.შ. ქვევრი დიდი ინტერესით სარგებლობს, ძალიან უნდათ ხოლმე, თავად ამოურიონ და ღვინის დადუღების პროცესი ნახონ.



**– თუკი მოთხოვნა იზრდება, რამდენად გაძლევთ შესაძლებლობას თქვენი მარნის ინფრასტრუქტურა ან ფართობი, რომ დიდ ნაკადს უმასპინძლოთ?**

– ბოლო წლებში საკმაოდ გავაფართოვე ჩემი ეზო და ახალი ინფრასტრუქტურა მოვაწყე. მოთხოვნას ფეხი ავუწყეთ და განვვითარდით. მომავალზეც ვფიქრობ და ვზრუნავ დახვეწაზე. ამჟამად 25 კაცზე გათვლილი სადეგუსტაციო დარბაზი მოქმედებს, ბუხრით და არყის სახდელით. ამას არ დავჯერდებით და მომავალში კიდევ უფრო გაფართოვებას ვგეგმავ. სანახევროდ უკვე გაკეთებულია და აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს, რომ იქვე, მიმდებარედ მოვაწყო 180 კაცზე გათვლილი დარბაზი.

**– თქვენი შეფასებით, როგორია ახალი ხელისუფლების ხედვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, რამდენად სწორი გზით ვითარდება მეღვინეობა-მევენახეობა?**

– რთველი მშვიდ ვითარებაში დასრულდა და საკმაოდ წყნარად ჩაიარა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, დედოფლისწყაროელ მევენახეებს უჭირთ ყურძნის რეალიზება. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სამთაწყაროსა და ფიროსმანის ზონებში. ჩვენთან ალაზნის ტერიტორია განსაკუთრებული კლიმატით გამორჩეული ზონაა და შაქრიანობა ძალიან იმატებს. მაშინ, როცა დედოფლისწყაროში ყურძნის შაქრიანობა ზღვარს აღწევს, ქარხნები ჯერ გახსნილი არ არის ხოლმე და პროცესს ეს აფერხებს. რთველი თავდაპირველად დედოფლისწყაროდან კი იწყება, მაგრამ ჩემი თხოვნა და რჩევა ხელისუფლების მიმართ იქნებოდა ის, რომ ვიდრე კრეფას დაიწყებენ ქარხნების ამუშავება მანამდე მოხდეს. დღეს აქცენტი გადატანილია ხარისხზე. მაგრამ ხარისხიანი ღვინის დამზადება დამოკიდებულია რთველის ვადების სწორად განსაზღვრაზე. მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროში ყურძენი მალე მწიფდება და 20%-ს რომ აცდება მისი შაქრიანობა, შემდეგ ამ ყურძნიდან მშრალი ღვინის დამზადება ძალიან ძნელია. შემდეგ მევენახეებიs მიმართ ისმის შენიშვნები, რომ მისი ყურძენი ქარხნისთვის არ არის სასურველი. დედოფლისწყაროს ყოველ წელს უგვიანდება და ვისურვებდი, რომ ადრე გაიხსნას ქარხნები და ეს გაითვალისწინოს ხელისუფლებამ. მივესალმები სუბსიდირებას, მაგრამ ღვინის ქარხნები ძალიან უპირატეს მდგომარეობაში გამოდიან და მიმაჩნია, რომ თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ. მათ თვითღირებულებით ღვინო გაცილებით იაფი უჯდებათ, ვინც სუფსიდია არ მიიღო, მათ გაცილებით ძვირი. ალბათ ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს, რომ თანაბარი პირობები იყოს. ვაზი ნამდვილად მომგებიანი საქმეა.

**– თუკი მევენახისგან ყურძნის დაბალ ფასზე ისევ ისმის შენიშვნები, რა უნდა იყოს მევენახის მოტივაცია, რომ ვენახს მიხედოს, ან ახალი ვაზი ჩაყაროს?**

– რა თქმა უნდა, ვაზი მომგებიანია და ვფიქრობ, რომ კახელი კაცი მევენახეობას ნამდვილად ვერ შეელევა. გლეხს უნდა, რომ ყურძენი რაც შეიძლება მაღალ ფასში ჩააბაროს. თავის მხრივ მევენახე მართალია, ვერ გაამტყუნებ, რადგან შხამქიმიკატები ძვირია და მოვლა პატრონობაც მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ბოლო წლებში ფასები ისეთი იყო, რომ თვითღირებულებას მიუახლოვდა და შემდეგ ცოტა მოგებაც ნახა გლეხმა. მევენახისთვის კი მიზერული ფინანსური სარგებელიც საკმარისია საიმისოდ, რომ მომავალ წელს კვლავაც ვენახს მიუბრუნდეს".

კახეთის გუბერნატორი **ირაკლი ქადაგიშვილი** ამბობს, რომ ვენახების გაშენების ტენდენცია კახეთში ყოველწლიურად იზრდება და ყველა რაიონში ფიქსირდება. ყველაზე მეტი ახლადგაშენებული ვენახი ყვარელში, გურჯაანსა და თელავშია.

***ვახტანგ ქიზიყურაშვილის სახელი დედოფლისწყაროელებისთვის კარგად ნაცნობია. ამჯერად ის საპატრიარქოს მეღვინეობის განვითარების ცენტრის თავმჯდომარეა. გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა, როგორ ესახება მას მეღვინეობის განვითარება და რა პრობლემებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება ქართულმა მხარემ.***

ვახტანგ ქიზიყურაშვილი: „წინა წლებთან შედარებით წელს რთველი რომ უკეთესად ჩატარდა, აქ ორი აზრი არ არსებობს. ჩამბარებელთა მასაში უკმაყოფილო მევენახე თითქმის არ შეიმჩნეოდა. ხმაურიც არ გვსმენია. ვფიქრობ, სუფსიდიით დახმარებაც მისასალმებელია, მაგრამ ამის ხარჯზე მევენახეობა არ უნდა ვითარდებოდეს. მთელს მსოფლიოში მევენახეობა რენტაბელური დარგია, ამიტომ, მითუმეტეს ქართველებს, ყურძნის სუფსიდირება არ უნდა გვჭირდებოდეს. მითუმეტეს, ფაქტია, რომ მსოფლიო ბაზარზე ღვინის ფასი არ კლებულობს.

**– წინა წლებში, როდესაც რუსეთის ფედერაციაში ქართული ღვინის შეტანა აკრძალეს, მიზეზად ღვინის ხარისხი დასახელდა. საინტერესოა, მას შემდეგ ქართული მეღვინეობა რას აკეთებს ფალსიფიკაციასთან ბრძოლის, თუ ხარისხის გაუმჯობესების კუთხით?**

– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან მე კარგი დამოკიდებულება მქონდა ყოველთვის უნდა ვთქვა, რომ რუსებმა უარყოფითად იმოქმედა ჩვენზე იმ კუთხით, რომ ყველანაირ ღვინოს ყიდულობდა, რაც გინდა გაგვეტანა გვისაღებდა და ფულს გვიხდიდა. ამან დაღუპა ქართული ღვინო, ამით გავთამამდით. ღირსი ვართ იმის, რა პასუხიც მივიღეთ. წელსაც დაფიქსირდა ფაქტი, როცა რუსეთში გატანილი ღვინო უკან დაბრუნდა და მიზეზი იყო ისევ ჩვენს მიერ გატანილი უხარისხო პროდუქცია. ამას რად უნდა ბევრი საუბარი, პრობლემა საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. გახსოვთ ამბროლაურში ღვინის ქარხნის ამბავი? იქ არის სულ 2000 ტონა ყურძენი, საიდანაც ხვანჭკარა უნდა დაამზადო და ჩვენ რუსეთში გაგვქონდა200 ათასი ბოთლი. კარგით რაა... ამის შემდეგ რა უნდა ვილაპარაკოთ და რაზე უნდა ვიწუწუნოთ? კიდევ რუსეთი უნდა დავადანაშაულოთ. თან ფალსიფიცირებულ ნაგავ პროდუქციას ვყიდიდით, ფულს ვიღებდით და კიდევ იქით ვსაყვედურობდით. დღემდე მათ ვაგინებთ.

**– ამჟამად რა სურათია, ხარისხის გაუმჯობესების ტენდენცია არ ჩანს?**

– რაც შეეხება ამჟამად ღვინის ხარისხს, წინსვლა ნამდვილად არის, შესაძლოა ტემპი არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ეს შესამჩნევია. ორი თვის წინ ჩამოვიდნენ გერმანიის და საფრანგეთის დელეგაციები. სამდღიანი სამუშაო შეხვედრები შედგა. მთელი ევროპისთვის მევენახეობის საწყისი საქართველოა და ათვლის წერტილი ჩვენი ქვეყნიდან იწყება. მსოფლიო გვაღიარებს, ეს ფაქტია. ამას დაემატა კიდევ ქვევრი, როგორც ჭურჭელი საქართველოშია დამზადებული და მას ძეგლის სტატუსიც მიენიჭა. ევროპაში დიდი მოთხოვნილებაა ქვევრის წარმოებაზე, მასში ღვინის დაყენებაზე. ქვევრი, როგორც ღვინის დადუღებისთვის საუკეთესო ჭურჭელი, შეუცვლელია. საქართველომ ეს უნდა აიტაცოს და მაქსიმალურად გამოიყენოს. ამხელა სიმდიდრე გვაქვს და არ უნდა ვწურავდეთ ყურძენს პლასტმასის ჭურჭელში, როცა ვიცით, რომ ქვევრი ჩვენი საგანძურია და მისი გამოყენებით ყველა თვისებას შევუნარჩუნებთ. ქვევრი სუნთქავს და ალტერნატივა არ აქვს. აქვე გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ საქართველოში ერთი ლაბორატორიაც ვერ ვნახეთ, სადაც თიხის ანალიზი გაკეთდება. ხომ უნდა იყოს ერთი ლაბორატორია, სადაც თიხას შეამოწმებ, რითი აწარმოო ქვევრი. აბსოლუტურად დადებითი ნაბიჯია სახელმწიფოსგან გადადგმული, რომ იყალთოში ქვევრის სკოლა გაიხსნა და დიდი გეგმები აქვთ. საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სიტყვის თქმა შეუძლია ქვევრის წარმოებას და ქვევრში ჭაჭაზე დადუღებული ღვინის რეალიზაციას. მთავარია აქცენტი გაკეთდეს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე.

**– ამჟამად რა ვითარება გვაქვს უცხოურ ბაზრებთან დაკავშირებით?**

– უცხოურ ბაზრებზე ღვინის მოთხოვნა გაზრდილია, გაიზარდა ფასებიც. ამჯერად უკვე ხარისხიანი ღვინოა საძებარი. მეღვინეობის განვითარებისთვის ყველა პირობა უმჯობესდება, მაგრამ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობაა აუცილებელი ხელისუფლების მხრიდან. გავიგე, რომ დედოფლისწყაროში, საზღვრისპირა სოფლებში ნაკელს ყიდიან და აზერბაიჯანში გააქვთო და გაოცებული დავრჩი. ნაკელს რომ კაცი გაყიდის, აქ უკვე სხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე. ნაკელს აუარებელი უკუგება შეუძლია მოგვიტანოს, ამიტომ ესეც სერიოზული საკითხია. სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ერთობლივი და ნაყოფიერი მუშაობით უნდა მოიძიონ ახალი ბაზრები, რომ გაცილებით მეტი ღვინის რეალიზება მოვახდინოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქარხნები გაცილებით მეტ ყურძენს ჩაიბარებენ სამომავლოდ".

ილია მარტყოფლიშვილი

სიახლე!

# „ბეკოს“ ახალი, გაფართოებული ფილიალი გაიხსნა




9 დეკემბერს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას კიდევ ერთი სავაჭრო ობიექტი შეემატა. „ბეკოს“ მაღაზიამ 9 ძმის ქუჩიდან აქ, ფართო, ნათელ და ახალ შენობაში გადმოინაცვლა. საზეიმო გახსნა „ბეკოს“ ცნობილი რეკლამის მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა. „ბეკოს“ გენერალურმა დირექტორმა საქართველოში მეჰმეთ მელექმა, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალურმა მენეჯერმა ნინო სეხნიაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და „ბეკოს“ დედოფლისწყაროს ფილიალის დილერმა სოლომონ მენთეშაშვილმა ლენტი გაჭრეს და დამსწრე საზოგადოება მიიწვიეს. მაღაზიაში წარმოდგენილი პროდუქციის მრავალფეროვნება აშკარად იგრძნობოდა, მაგრამ ყველაფერი შესაბამის ადგილზე ისე იყო განთავსებული, რომ მომხმარებელს სასურველი ნივთის მოძებნა და გასინჯვა არ უჭირდა.




ვესაუბრებით **„ბეკოს“ გენერალური დირექტორს საქართველოში** მეჰმეთ მელექს: „ბეკო“ თურქული წარმოების მსოფლიო ბრენდია, რომელსაც 142 ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობა და 440 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. ამ წარმატებას ის განაპირობებს, რომ ფირმა მაღალი ხარისხის და ლამაზი დიზაინის საქონელს სთავაზობს მომხმარებელს, რომლის გარანტიაც 4 წელია. საქართველოს ბაზარზე 19 წელია, რაც შემოვედით. 5 ოფიციალური სერვისცენტრი და 60 მაღაზია გვაქვს. კმაყოფილი ვართ საქართველოში საქმიანობით. წარმატებებს ვუსურვებთ დედოფლისწყაროელებს“- თქვა მან.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი – „ვულოცავ დედოფლისწყაროელებს ამ სიახლეს. მართლაც საჭირო იყო ახალმოსახლეობა, რადგან ძველ მაღაზიაში სივიწროვე იყო. ამასთან, ამ შენობამ ნამდვილად დაამშვენა ჩვენი ქალაქი. ეჭვი არ მეპარება, მოსახლეობა კმაყოფილი დარჩება.“






სოლომონ მენთეშაშვილი – „თითქმის 15 წელი გავიდა, რაც დედოფლისწყაროში, 9 ძმის ქუჩაზე „ბეკოს“ მაღაზია გავხსენით. წლები გადიოდა, მომხმარებელიც გვემატებოდა და შეთავაზებული პროდუქციის ასორტიმენტიც იზრდებოდა. საჭირო გახდა გავფართოვებულიყავით. ტერიტორიულადაც კარგი მდებარეობა აქვს ამ შენობას. 7 ადამიანი დავასაქმეთ. დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბევრი ხალხი მოვიდა და გაყიდვებმაც მოლოდინს გადააჭარბა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დღეს და ხვალ 30%-იანი ფასდაკლება გვაქვს და განვადებებიც. ჩვენი საქონლის გარანტია 4 წლიანია. საახალწლო აქცია მოიცავს ფასდაკლებასაც და საჩუქრებსაც. ვეცდებით, მომხმარებელი კმაყოფილი გვყავდეს.“

საზეიმო გახსნას ტრადიციულად ტორტის გაჭრა და ალაფურშეტი ახლდა თან.

ნაირა გორაშვილი

## გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა –N46-ში გამოქვეყნებულ წერილში „მოგონებების თეფშით მოგვაქვა ავიც და კარგიც“ მე –5 გვერდის ბოლო სვეტში გაიპარა შეცდომა „ ზემო ქედის კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის არსენ ყოჩიაშვილის“ ნაცვლად უნდა ეწეროს **„არსენ კობაიძე“**. ამ მექანიკურ შეცდომას მკითხველი თავადაც მიხვდებოდა, მაგრამ ჩვენ, ჩვენის მხრიდან, ვიხდით ბოდიშს.

## ულოცავენ!

### ნინო სულიაშვილ-არაბულს!

გამარჯვების პროფესორ ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს ამავე სკოლის დირექტორს ნინო სულიაშვილ-არაბულს შვილიშვილის, ელენეს დაბადებას და უსურვებს ჯანმრთელობას და ნათელ მომავალს.

### თამარ ბატიაშვილს!

გამარჯვების პროფესორ ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს სკოლის პედაგოგს თამარ ბატიაშვილს შვილიშვილის-ვაჩეს დაბადებას და უსურვებს ჯანმრთელობას და ნათელ მომავალს.

### მედეა პოპიაშვილს! ოლეგ მასურაშვილს!

გამარჯვების პროფესორ ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დაქორწინებას ულოცავს ამავე სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მედეა პოპიაშვილსა და ოლეგ მასურაშვილს და უსურვებს მათ მტკიცე, ქართული ოჯახის შექმნასა და აკვანთა სიმრავლეს!

### ნათელა ბოსტაშვილს! ელგუჯა თეთვაძეს!

გილოცავთ მეხუთე შვილიშვილის-ელენეს დაბადებას. პატარა ქალბატონს ჯანმრთელობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებთ, თქვენ კი ბედნიერ პაპა-ბებიობას.

**სიყვარულით,** „შირაქელები“.

## მადლიერება!

საპარლამენტო არჩევნებზე სიღნაღი-დედოფლისწყაროს მოსახლეობამ დიდი ნდობა გამოუცხადა ირაკლი შიოლაშვილს, რაშიც არც შევმცდარვართ. ირაკლი რასაც გვპირდებოდა, უკვე ასრულებს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ირაკლის, ჩემი ოჯახის სახელით გვერდში დგომისთვის. მართლაც დასაფასებელი და ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა. ჩემი შვილის ნანული მაჩაბლიშვილის ავადმყოფობის დროს ჩვენი დეპუტატი მხარში ამომიდგა, დაგვაკვალიანა და გზა გვიჩვენა, როგორ მოვქცეულიყავით. ტყუილად არ ყოფილა ნათქვამი, ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადაო. ეს ფრაზა მშვენივრად ესადაგება მარინა ღვინიაშილსა და გენადი შიოლაშვილს ასეთი შვილის გაზრდისთვის. შეუძლიათ იამაყონ ირაკლის მშობლებმა და ასევე ჩვენც. ადამიანის გაჭირვების გულთან მიმტანი დეპუტატი გვყავს. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა, რომ ჩემი შვილი სიკვდილს ხელიდან გამოვტაცეთ. მისი დახმარებით ნანული ამჟამად უკვე მესამე თვეა მკურნალობას აგრძელებს თურქეთის წამყვან კლინიკაში. მას ჯერ აქ ჩაუტარდა ოპერაცია, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა და შემდეგ ორი ოპერაცია თურქეთში გაუკეთდა. კიდევ ერთი ოპერაცია ესაჭიროება. ჩემი შვილი ახლაც იქ იმყოფება.

ასევე, გვერდში დგომისთვის მადლობას ვუხდი ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ტარიელ ღარიბაშვილს, ბაჟა გონაშვილს, გოდერძი გონაშვილს, ნათელა ბეკოშვილს და მაყვალა კოტაშვილს. წინასწარ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, სიკეთის და წარმატებების წელი ყოფილიყოს.

ციცინო გონაშვილი


## ყურადღება!

მოვუვლი მოხუცებს, ჩემს საკუთარ საცხოვრებელ სახლში, რომელიც მდებარეობს დედოფლისწყაროში, სოფ. ხორნაბუჯში გამსახურდიას ქ. №5-ში. მეტი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე

☎ 599463621
577398019 ლელა;

## იყიდება!

იყიდება ან ქირავდება კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინა ავეჯით და ავეჯის გარეშე.
მისამართი: ქ. დედოფლისწყარო. რუსთაველის ქ. N44. ფასი შეთანხმებით.
☎ 599-10 10 67.

ორსართულიანი კაპიტალური სახლი. პირველი სართული გამართულია, მეორე სართული – გასამართი, ეზოთი, ბაღით, მარნით, სათონით; ფასი 11500 აშშ დოლარი.
☎ 591345550
იკითხეთ ლალი.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 12.12 დღე | ორშაბათი 12.12 ღამე | სამშაბათი 13.12 დღე | სამშაბათი 13.12 ღამე | ოთხშაბათი 14.12 დღე | ოთხშაბათი 14.12 ღამე | ხუთშაბათი 15.12 დღე | ხუთშაბათი 15.12 ღამე | პარასკევი 16.12 დღე | პარასკევი 16.12 ღამე | შაბათი 17.12 დღე | შაბათი 17.12 ღამე | კვირა 18.12 დღე | კვირა 18.12 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 ° | 2 ° | 5 ° | 4 ° | -1 ° | -2 ° | -4 ° | -5 ° | -5 ° | -6 ° | -7 ° | -8 ° | -4 ° | -5 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.